ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6497944

ნომერი: AR1967900

თარიღი : 29.05.2023

გაცემის თარიღი : 08.06.2023

გაცნობის თარიღი : 08.06.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ირინა ენუქიძის ქუჩა , N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა კანდელაკიშვილი პ/ნ 40001006991
- გურამიშვილის 76

ორგანიზაცია:

- ევროპის უნივერსიტეტის კამპუსი კოდი: 400265057

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული AR1967900 (29/05/2023 წ.) განცხადება, რომლითაც ითხოვთ №3168490(06.04.2017) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურს, მიზანშეწონილად არ მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება 2017 წლის 06 აპრილის №3168490 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, ახალი საპროექტო ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით. აღნიშნული წარმოადგენს ისეთი არსებითი ხასიათის ცვლილებას, რაზეც სამსახურის მიერ მიღებული უნდა იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გათვალისწინებული იქნება, როგორც კონკრეტული მიწის ნაკვეთის განაშენიანების არეალი ასევე ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც დღეს მოქმედი განაშენიანების რეგულირების წესებით არის დამტკიცებული. შესაბამისად ახალი ობიექტის განთავსებისთვის საჭიროა დადგინდეს ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

საპროექტო მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს სპეციალურ ზონა -1 (სპეცზ–1)-ში, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს. სპეცზ–1-ში დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო და კულტურის დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება. სპეციალურ ზონა -1 (სპეცზ–1)–ში, მოქმედი კანონმდებლობა სასტუმროს ფუნქციის შენობის მშენებლობას არ ითვალისწინებს.

ამასთან, წარმოდგენილი სქემის მიხედვით, საპროექტო შენობის განთავსება გათვალისწინებულია უკანა ეზოს ტერიტორიაზე. №14-39 დადგენილების თანახმად, უკანა ეზოს ტერიტორიაზე დაუშვებელია შენობის ან მისი ნაწილის განთავსება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.